თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს

დადგენილება №153

2012 წლის 2 აპრილი

ქ. რუსთავი

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საწყისი სააუქციონო ფასის განსაზღვრის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 26^1 მუხლის მე-4 პუნქტის, „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღების და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულოს 2010 წლის 12 ნოემბრის №32 დადგენილების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

თვითმმართველი ქალაქი რუსთავის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საწყისი სააუქციონო ფასი 1 კვადრატულ მეტრზე ყოველი სანებართვო წლისათვის განისაზღვროს:

1. ცენტრალური ზონისათვის – 45 ლარი.
2. შუალედური და პერიფერიული ზონებისათვის – 27 ლარი.

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე კ. გურგენიძე